



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო



ბ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა № _63_

“ 21 ” თებერვალი 2023 წ.

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისში, გლდანის საცხოვრებელ რაიონში, საზოგადოებრივი ცენტრის ტერიტორიაზე V და VI მიკრორაიონებს შორის არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.11.10.007.001), მრავალფუნქციური კომპლექსის (სავაჭრო, საყოფაცხოვრებო, ავტოჰაუსი, სასტუმრო, რესტორანი) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერის 2013 წლის 12 ივნისის №1205 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 15 თებერვლის №23.186.194 განკარგულების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას „ქალაქ თბილისში, გლდანის საცხოვრებელ რაიონში, საზოგადოებრივი ცენტრის ტერიტორიაზე V და VI მიკრორაიონებს შორის არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.11.10.007.001), მრავალფუნქციური კომპლექსის (სავაჭრო, საყოფაცხოვრებო, ავტოჰაუსი, სასტუმრო, რესტორანი) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერის 2013 წლის 12 ივნისის №1205 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებ - გვერდზე ms.gov.ge რეგისტრირებული №01230322795-67 (012302831-67) განაცხადის და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისად;

2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე





ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა



განკარგულება - N 23.186.194
15 / თებერვალი / 2023 წ.

„ქალაქ თბილისში, გლდანის საცხოვრებელ რაიონში, საზოგადოებრივი ცენტრის ტერიტორიაზე, V და VI მიკრორაიონებს შორის არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.10.007.001) მრავალფუნქციური კომპლექსის (სავაჭრო, საყოფაცხოვრებო, ავტოპარკის, სასტუმრო, რესტორანი) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერის 2013 წლის 12 ივნისის N1205 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის მოწონების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2023 წლის 28 იანვარს N012302831-67 (N01230322795-67) განცხადებით მიმართა გიორგი სამხარაძემ (პ/ნ 01002023939) და მოითხოვა „ქალაქ თბილისში, გლდანის საცხოვრებელ რაიონში, საზოგადოებრივი ცენტრის ტერიტორიაზე V და VI მიკრორაიონებს შორის არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.10.007.001), მრავალფუნქციური კომპლექსის (სავაჭრო, საყოფაცხოვრებო, ავტოპარკის, სასტუმრო, რესტორანი) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერის 2013 წლის 12 ივნისის N1205 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცება.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, გლდანის საცხოვრებელ რაიონში, საზოგადოებრივი ცენტრის ტერიტორიაზე, V და VI მიკრორაიონებს შორის (ნაკვ.7/1); ომარ ხიზანიშვილის ქუჩა N55ბ, N55ა, N57-ში; ილია ვეკუას ქუჩა N50, N84-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.11.10.007.031; N01.11.10.007.038; N01.11.10.007.029; N01.11.10.007.035; N01.11.10.007.024; N01.11.10.007.039). ტერიტორია განვითარებულია შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის მიხედვით და მოიცავს: სავაჭრო ცენტრს (ფრესკო), მრავალფუნქციურ შენობას, რესტორანს, ავტოპარკს.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1); სატრანსპორტო ზონა 2 (ტზ-2), ასევე, გამწვანებული ტერიტორიების ფენით შემოთავაზებულია სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2).

საპროექტო ტერიტორიაზე განაშენიანების რეგულირების გეგმის ბოლო კორექტირება განხორციელდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 თებერვლის N62 განკარგულებით.

წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული საპროექტო წინადადებით N01.11.10.007.038 საკადასტრო ერთეულზე (1133 კვ.მ) იგეგმება კომერციული დანიშნულების შენობის განთავსება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის მიხედვით დადგენილი საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3-ის (სსზ-3) პარამეტრებით. აღნიშნულ არეალზე დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის მიხედვით, გათვალისწინებული იყო ავტომობილების სავაჭრო-საგამოფენო შენობის განთავსება, რომელიც, დღეის მდგომარეობით, განთავსებულია განსხვავებული კონფიგურაციით.



N01.11.10.007.038 საკადასტრო ერთეულისთვის დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმით დადგენილი ფუნქციური ზონა (საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა3 (სსზ-3)) რჩება უცვლელი:

საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3 (სსზ-3) - 1133 კვ.მ;

სსზ-3 კ1=0,7; კ2; კ3=0,1;

შენობა-ნაგებობების მაქსიმალური სართულიანობა - 3 სრული სართული;

შენობა-ნაგებობების მაქსიმალური სიმაღლე 15მ.

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების მე-9 მუხლის მე-4, მე-5 და 5¹ პუნქტების შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ორივე ეტაპს აწარმოებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული პოლიტიკის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, დაგეგმარებითი ამოცანების სრულყოფილად შესრულების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობას იღებს გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი მერიის სტრუქტურული ერთეული. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, აღნიშნული ადმინისტრაციული წარმოების განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანოს სატრანსპორტო პოლიტიკაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის ჩართვა სავალდებულოა:

ა) გაუნაშენიანებელ ტერიტორიებზე განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების პროცესში;

ბ) თუ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით/გადაწყვეტით საპროექტო ტერიტორიისათვის გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტით განსაზღვრული მაქსიმალური საანგარიშო ფართობი აღემატება 5000 კვ.მ-ს (გარდა ღამის კლუბის, სასაწყობო, საწარმოო და სამრეწველო ობიექტების, საგამოფენო დარბაზის, მუზეუმის, ბიბლიოთეკის და საკულტო ნაგებობის განაშენიანების რეგულირების გეგმებისა).

ცვლილების ინტენსივობიდან გამომდინარე, გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართვა არ განხორციელებულა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2023 წლის 9 თებერვლის N0123040335 წერილის შესაბამისად, სააგენტო არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების პროექტის დამტკიცების წინააღმდეგი.

ზემოაღნიშნულის შესაბამისად, „ქალაქ თბილისში, გლდანის საცხოვრებელ რაიონში, საზოგადოებრივი ცენტრის ტერიტორიაზე V და VI მიკრორაიონებს შორის არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.10.007.001), მრავალფუნქციური კომპლექსის (სავაჭრო, საყოფაცხოვრებო, ავტოპარკის, სასტუმრო, რესტორანი) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერის 2013 წლის 12 ივნისის N1205 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცება დასაშვებია.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 75-ე მუხლის

„ე.ბ“ ქვეპუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის, ასევე, N012302831-67 (N01230322795-67) განცხადებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნას „ქალაქ თბილისში, გლდანის საცხოვრებელ რაიონში, საზოგადოებრივი ცენტრის ტერიტორიაზე V და VI მიკრორაიონებს შორის არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.10.007.001), მრავალფუნქციური კომპლექსის (სავაჭრო, საყოფაცხოვრებო, ავტოპარკის, სასტუმრო, რესტორანი) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერის 2013 წლის 12 ივნისის N1205 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.

2. წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით მოწონებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი დასამტკიცებლად გადაეგზავნოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერი) ირაკლი ხმაღაძეს.

4. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი



კახა კალაძე



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო
სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული
განვითარების სააგენტო



წერილის ნომერი: 0123040335
თარიღი: 09/02/2023

2023 წლის 1 თებერვლის N 01230322795-67 განცხადების პასუხად, რომელიც შეეხება ქალაქ თბილისში, ომარ ხიზანიშვილის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 01.11.10.007.038, 01.11.10.007.024, 01.11.10.007.039, 01.11.10.007.031, 01.11.10.007.029, 01.11.10.007.035) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების დამტკიცებას, გაცნობებთ:

სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურმა შეისწავლა წარმოდგენილი ცვლილების პროექტი და სატრანსპორტო დოკუმენტაცია.

წარმოდგენილია შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა შესაბამის თანხმობის წერილებთან ერთად.

საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ საზოგადოებრივი ტრანსპორტით მომსახურების დონე დამაკმაყოფილებელია. ავტობუსების გაჩერება საფეხმავლო მისაწვდომ მანძილზეა. ამავე დროს, ახალი საავტობუსე ქსელის მიმდინარე კვლევის ფარგლებში ო. ხიზანიშვილისა და ი. ვეკუას ქუჩა მოიაზრება, როგორც ტრანზიტული საჯარო ტრანსპორტის დერეფანი (კარგად შეკავშირებული, ხშირი და მაღალი მოცულობის ქსელი). ამასთან მიმდებარე ქუჩებზე განახლდება და გაუმჯობესდება მეორეული საქალაქო და მესამეული საუბნო შემკრები საზ. ტრანსპორტის ქსელი. აღნიშნული მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურების დონეს, გაჩნდება დამატებითი რეზერვები და მომავალში შესაძლებელს გახდის მოდალურ განაწილებაში საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოხმარების წილის გაზრდას.

საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ საფეხმავლო ინფრასტრუქტურის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. მიმდებარე გზების უმეტეს ნაწილს ტროტუარი გააჩნია თუმცა გვხვდება სარეაბილიტაციო მონაკვეთები. აღსანიშნავია, რომ საქვეითე ინფრასტრუქტურის მოწესრიგება მერიის სატრანსპორტო პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილია. წარმოდგენილი წინასაპროექტო კვლევა და რეკომენდაციები განხილული და გათვალისწინებული იქნება სამომავლოდ, მიმდებარე ტერიტორიების განახლება/რეაბილიტაციის, ასევე საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურების გაუმჯობესებისთვის შემუშავებულ პროექტებში.

საგზაო ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით, საპროექტო ტერიტორიასთან დამაკავშირებელი ძირითადი მიმდებარე გამტარი კვანძები ნაწილობრივ იტვირთება პიკის საათებში, თუმცა საზ. ტრანსპორტის გაუმჯობესების შემდგომ მოსალოდნელია კვანძებზე არსებული რაიმე დატვირთულობის საგრძნობლად განმუხტვა. დაგეგმილი

პროექტი განხორციელების შემდგომ ვერ მოახდენს არსებით უარყოფით ზეგავლენას არსებულ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე.


დაგეგმილი პროექტი, დაგეგმილი ფუნქციისა და ინტენსივობის გათვალისწინებით, განხორციელების შემდგომ ვერ მოახდენს არსებით უარყოფით ზეგავლენას არსებულ საგაზო ინფრასტრუქტურაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სამსახური არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების პროექტის დამტკიცების წინააღმდეგი.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი



ნაკვეთების განაწილების გეგმა მ. 1:1000



შენიშვნა: წარმოდგენილი კორექტირების მიხედვით არ იცვლება მიწის ნაკვეთების საზღვრები, გუბარირული ზომები და ფართობი, არ ხდება ნაკვეთების გამოჯანა ან/და გაერთიანება

პირობითი აღნიშვნები

- | | |
|---|----------------------------|
|  | შეთანხმებული გრავის არეალი |
|  | საპროექტო ნაკვეთი |
|  | საპროექტო არეალი |
|  | შეზღუდვის ხაზი |

- | საზოგადოებრივ საქმიანობაში 3 (სსპ-3) | საზოგადოებრივ საქმიანობაში 1 (სსპ-1) |
|--------------------------------------|--------------------------------------|
| არსებული გზები | არსებული გზები |
| საპროექტო შენობა | საპროექტო შენობა |

შ.პ.ს. "გრანი"

ქ. თბილისი. გულდანი, მეგრ V, კორპ. №17, პანა N2
 ტელ. 593 26 17 19
 საიდგ. კოდი 400031755

განაშენების რეგულირების გეგმის კორექტირება

დირექტორი	რ. ფაქულაშვილი
მთ. არქიტექტორი	თ. კობახიძე
შუამრუდ	03.11.2022 წ.
თარიღი: A3	გ. 1-500


მისამართი:

ქ. თბილისი,
ხიზანიშვილის ქ.
V და IV მკვრეუბნების
შორის
მ/პ: 01.11.10.007.035;
01.11.10.007.035;
01.11.10.007.029;
01.11.10.007.031;
01.11.10.007.039;
01.11.10.007.024

ფიუნქციური ზონების და გამოყენების სახეობების გეგმა მ. 1:1000

საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 3 (სსზ-3)
სიმაღლე - 15 მ.
კ1-0,7

კ2- 0.1
ნაკვეთის ფართი - 1133 კვმ
საპროექტო შენობის ფუნქციური დანიშნულება - კომერციული



პირობითი აღნიშვნები

- შუალედური გზის არეალი
- საპროექტო ნაკვეთი
- საპროექტო არეალი
- შეზღუდვის ხაზი

- საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 3 (სსზ-3)
- საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 1 (სსზ-1)
- არსებული გზები/ქუჩები
- არსებული შენობები
- საპროექტო შენობა

შ.პ.ს. "რინი"

ქ. თბილისი, გლდანის რაიონი, მკერ V, კორპ. №17, პინა №2
ბელ. 593 26 17 19
საიდგ. კოდი 400031755

განაშენების რეგულაციების გეგმის კორექტურება

დირექტორი	რ. ფაქტუალური
მთ. არქიტექტორი	მთ. კონსტრუქტორი
შესრულებული	ფორმატი A3
ფორმატი A3	ფ. 1:500
ფ. 03.11.2022 წ.	


მასშტაბი:

ქ. თბილისი, გლდანის რაიონი, მკერ V, კორპ. №17, პინა №2
ს/კ. 01.11.10.007.038;
01.11.10.007.039;
01.11.10.007.039;
01.11.10.007.039;
01.11.10.007.039

შენიშვნა: წარმოდგენილი კორექტირების მიხედვით არ იცვლება ტერიტორიის მინიმალური ფუნქციური ზონები და მათი ნაკვეთის მინიმალური კვ. და კვ. კოეფიციენტები, შემოსილი დასაშვები საერთაშორისო ანგარიშის სიმაღლე

განაშენების შეზღუდვის ხაზი

1




პირობითი აღნიშვნები	საზოგადოებრივ საქმიან ზონა 3 (სს-3)	შსსპ-მართო:
	შეიანსებული გრ-ის არეალი	ქ. თბილისი,
	საპროექტო ნაკვეთი	ხრანოშვილის ქუჩა,
	საპროექტო არეალი	V კვ. IV მ.კვების ზონის
	საპროექტო შენობა	ს.კ.ბ. 01.11.0.007/038;
	შეზღუდვის ხაზი	01.11.0.007/039;
		01.11.0.007/031;
		01.11.0.007/039;
		01.11.0.007/024

პისამართი:


ქ. თბილისი,	ს/პ: 0111.10.007.038
ხოზანაშვილის ქ.	0111.10.007.035;
V და IV მცროებ	0111.10.007.029;
შორის	0111.10.007.031;
	0111.10.007.039;
	0111.10.007.024

საპროექტო მიწის ნაკვეთზე შენობის განთავსების გეგმა



პროექტი აღნიშნული		შპს. "რონი"		განმარტების რეგულაციების გეგმის კორექტირება		მისამართი	
შენიშნული ტერიტორია	შენიშნული ტერიტორია	საზოგადოებრივ საკმარისი ზონა 3 (სს-3)	საზოგადოებრივ საკმარისი ზონა 1 (სს-1)	დირექტორი	რ. ფაღვალაშვილი	ქ. თბილისი, ხრანის ქუჩა V კმ IV მ. კმ	შპს. "რონი"
საპროექტო ნაკვეთი	საპროექტო ნაკვეთი	არსებული გზის ქსელი	არსებული შენობები	მთ. არქიტექტორი	მთ. კობახიძე	ს/ა. 01.11.007.038	ს/ა. 01.11.007.038
საპროექტო არეალი	საპროექტო არეალი	საპროექტო შენობა	საპროექტო შენობა	შეასრულა	შეასრულა	01.11.007.039	01.11.007.039
შენიშნული ტერიტორია	შენიშნული ტერიტორია	საპროექტო შენობა	საპროექტო შენობა	ფორმატი A3	გ. 1500	03.11.2022 წ.	03.11.2022 წ.


ပုံစံ-ပုံစံ ၁. ၁:၅၀၀



განაშენების რეგულირების
პარამეტრების ცხრილი

[illegible]

მეცნიერული სიმბოლოს განმარტება



მაქსიმალური დასაშვები სიმაღლე 15მ.
 $15 \times 0.35 = 5.25 \text{ მ} < 6.0 \text{ მ.}$

პირობითი აღნიშვნები

- შეთანხმებული გრძის არეალი
საპროექტო ნაკვეთი
საპროექტო არეალი
შეზღუდვის ხაზი

- საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 3 (სსპ-3)
საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 1 (სსპ-1)
არსებული გზები/ქუჩები
არსებული შენობები
საკონსტრუქციო შენობა